პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 13 (3243)

1967 წ.
18 იანვარი,
ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 43-ე წელი

დღეგამოშვებით ჩვენს დედაქალაქს სტუმრობენ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის მშრომელები. ისინი თბილისში ჩამოდიან ტურისტული მატარებლით „შოთა რუსთაველი“, ათვალიერებენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, ესწრებიან თეატრალურ წარმოდგენებს და დიდი შთაბეჭდილებით დატვირთულნი ბრუნდებიან უკან.

• • •

სურათზე თქვენ ხედავთ ბათუმის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლებს თბილისის რკინიგზის სადგურზე.

ფოტო შ. გოქაძისა.

დისკრიმინატორთა საპასუხოდ

◆ ვარშავა, 17 იანვარი. რაც უფრო ახლოვდება ფრენბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი (იგი იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში უნდა გაიმართოს), მით უფრო ომახიანად ჟღერს საპროტესტო ხმა ამ გათამაშების ორგანიზატორთა მიმართ, რომლებიც აშკარა დისკრიმინაციის გზას დაადგნენ. ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, სსრ კავშირის გუნდებმა. ამ კოლექტივებს შეუერთდა პოლონეთის ფრენბურთის ფედერაციაც, რომელმაც გადაწყვიტა არ გამოიყვანოს თავისი გუნდი მსოფლიო ჩემპიონატში.

ლიდერები უტევენ

XXXIV
ფინალი

ტურნირის „ეკვატორის“ გადალახვამ ბრძოლაში, განსაკუთრებით კი ლიდერების ჭიდილში, დიდი სიმძაფრე შეიტანა. ჰორიზონტზე ფინიში გამოჩნდა. სანუკვარ ოთხ საგზურზე ათამდე კაცი აცხადებს პრეტენზიას. ვინც ბოლო შეხვედრებში იმარჯვებს და კოლეგებს ჩამოიტოვებს, საზონათაშორისო ტურნირის კანდიდატიც ის იქნება.

XI ტურში ლეინი და შტეინი გამოირჩეოდნენ.

სიცილიურ დაცვაში სუეტინმა საიერიშოდ განალაგა ფიგურები, მაგრამ ლეინმა ცენტრალური პაიკის წინსვლით თავის სასარგებლოდ წარმართა თამაში: ხელთ იგდო ინიციატივა და თავს დაესხა ლაზიერის ფრთაზე დაბანაკებულ თეთრ მეფეს.

სუეტინმა წინდახედულად დაგეგმა დაცვა, ლეინმა კი მხედრის შეწირვით კვლავ ცეცხლი წაუკიდა მეტოქის პოზიციას. მოშლილი კომუნიკაციებისა და დაქაქსული ფიგურების მოწესრიგება შეუძლებელი აღმოჩნდა. შავი პაიკები ულმობლად მიიწევდნენ წინ. სუეტინს სურდა ფიგურის დაბრუნებით გამოესწორებინა მდგომარეობა, მაგრამ შეცდა და უეტლოდ დარჩა.

ჭეშმარიტი შედევრი შექმნა შტეინმა ხოლმოვთან შეხვედრაში. სოჭელი დიდოსტატი ძალზე შეუპოვარია და იშვიათად მარცხდება, მაგრამ ამ პარტიაში მას ვირტუოზულად მოუგეს.

შტეინი — ხოლმოვი
ესპანური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კ:c6 bc 5. 0—0

აქ თამაშობენ 5. d4 ed 6. ლ:d4 ლ:d4 7. მ:d4 და ხშირად ბრძოლა ყაიმით მთავრდება. შტეინს ეს ხელს არ აძლევს.

5. ... კg4 6. h3 h5 7. c3.

რა თქმა უნდა, კუს აყვანის შემდეგ შავები ძლიერ იერიშს წამოიწყებდნენ.

7. ... ლf6 8. d4 კ:f3 9. ლ:f3 ed 10. cd ლ:d4.

შტეინმა პაიკი შესწირა. მას ალბათ, სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში, როცა სადებიუტო ვარიანტს ირჩევდა. პაიკის სანაცვლოდ შტეინს აქტიური პოზიცია აქვს. ახლა საჭიროა შავი ფიგურების უმოქმედობის გამოყენება კარგი მდგომარეობის მისაღებად.

11. მc3 კd6 12. კf4 კ:f4 13. ლ:f4 ლd6 (ცხადია, ენდშპილში ადვილია თეთრების ინიციატივის გაქარწყლება) 14. e5 ლh6 15. ლb4 b6 16. f4 a5 17. ლa3 მe7 18. ეad1 c5 19. მe4 0—0 20. ეd7.

ხოლმოვმა მეფე დააბინავა, მაგრამ ინიციატივას კვლავ შტეინი ფლობს. იგი პაიკსაც იბრუნებს. სსრ კავშირის ჩემპიონი შემდგომ ელეგანტურად უტევს.

20. ... მf5 21. მg5 h4 22. ე:c7 ეad8 23. ლf3 მd4 24. ლg4 ეde8. 25. მფh2 f6 26. ef ე:f6 27. ეc8 ე:c8 28. ლ:c8+ ეf8 29. ლg4 მf5.



შტეინი ფინალურ იერიშს იწყებს. ხოლმოვს ლაზიერების გაცვლით უნდა ეშველა საქმისთვის, მაგრამ ასე რატომღაც არ მოიქცა.

30. ეe1 ლf6 31. ლh5 მh6 32. ეe4 b5 33. b3 ლf5 34. ლ:h4 მf7 35. ეe7 მ:g5 36. fg ლd5 37. ლg3 ეf7 38. g6 (კარგი პარტიის ლამაზი ფინალი. ამ პაიკის აყვანა არ შეიძლება შამათის გამო) 38. ... ეf8 39. ლc7 ლd4 40. ეf7 ეe8 41. ეf4 ლe5 42. ლf7+ მფh8 43. მფh1. ხოლმოვი დანებდა.

სმისლოვ — ბრონშტეინის შეხვედრა მუდამ დაძაბულად მიმდინარეობს. ორიგინალურად გათამაშებულ ინდურ დაცვას ამჯერადაც მწვავე თამაში მოჰყვა. სმისლოვმა ცენტრალური პაიკი მოიგო და უპირატესობასაც დაეუფლა. ბრონშტეინმა კი პოზიცია გაამარტივა და ამით მინიმუმამდე დაიყვანა თეთრების გაორებული ზედმეტი პაიკის გამოყენების შანსი. პარტია გადაიდო.

არც კროგიუსს დაუმთავრებია შეხვედრა. მისი ბრძოლა გურგენიძესთან თანაბრად მიმდინარეობდა. მხოლოდ ენდშპილში მიაღწია მან ოდნავ უკეთეს მდგომარეობას.

გელერი და გიპსლისი ყაიმს დასჯერდნენ — პირველი ნეისთან, მეორე — ლიბერზონთან. სხვათა შორის, ორივე პარტია თავიდან საინტერესო ბრძოლით დაიწყო, მაგრამ შემდგომ მეტოქეებმა დაზავება არჩიეს.

მოულოდნელია პოლუგაევსკის წარუმატებლობა. იგი ზედმეტად ღელავს, განიცდის უფერულ სტარტს და ყველა შეხვედრას დიდოსტატურად ვერ ატარებს: ნიკოლაევსკისთან კი მან ჩვეული ძალით წარმართა თამაში და უპირატესობასაც დაეუფლა. მართალია, პარტია გადაიდო, მაგრამ ზედმეტი ხარისხი პოლუგაევსკის გამარჯვებას წინასწარმეტყველებს.

კარგად ვერც ვასიუკოვი თამაშობს. I ტურში სმისლოვთან გამარჯვების შემდეგ მან ოთხი პარტია წააგო. გუშინწინდელ შეხვედრაში გუფელდთან ვასიუკოვმა საუცხოო პოზიცია მიიღო, მაგრამ ცაიტნოტში ისე მწარედ შეცდა, რომ დანებება მოუხდა.

დაწარცხების საფრთხე ემუქრება „დიდოსტატების რისხვას“ ოსნოსს. მან 5 ქულა მოაგროვა 8 დიდოსტატთან შეხვედრაში, ოსტატ სავონს კი ვერაფერი მოუხერხა. ოსნოსს ორი პაიკი აკლია შეწყვეტილ პოზიციაში.

დოროშკევიჩმა, რომელსაც ამ ტურნირში ყველა იოლ „ლუკმად“ მიიჩნევს, ტაიმანოვს მძაფრი წინააღმდეგობა გაუწია. დიდოსტატმა მაინც შეძლო უპირატესობის მიღება, ცენტრში შემოიტყუა ოსტატის მეფე. პარტია არ დამთავრებულა. მოსალოდნელია საკმაოდ მძაფრი ბრძოლა.

თ. გიორგაძე.

• • •

დიდოსტატ ე. გელერს მეტოქე, რომ იტყვიან, ხელიდან გაუსხლტა — სწრაფად გაუცვალა ფიგურები და ყაიმიც გარდუვალი აღმოჩნდა. და აი, დანაღვლიანებული დიდოსტატი (ზემოთ) ახლა სხვების თამაშს ადევნებს თვალს.

ეს სურათი რომ გადაუღეს, ბ. გურგენიძეს თამაში დამთავრებული ჰქონდა. დამქანცველმა ბრძოლამ და მღელვარებამ თავისი გაიტანა. დაღლილი ოსტატი კიდევ ერთხელ ამოწმებს თავის გადადებულ პარტიას სადემონსტრაციო დაფაზე.

ფოტო ა. საკოვისა.

გუშინ...

გადადებული პარტიების დამთავრებისას თამაშის განუახლებლად ვასიუკოვი დანებდა სავონს, ნიკოლაევსკი — პოლუგაევსკის. ყაიმით დამთავრდა სმისლოვ — ბრონშტეინის, გურგენიძე — სუეტინისა და ბრონშტეინ — ლიბერზონის შეხვედრები.

სავონმა მოუგო ოსნოსს, პოლუგაევსკიმ — შტეინს, დოროშკევიჩმა — ნიკოლაევსკის, ტაიმანოვმა — დოროშკევიჩს. ყაიმზე შეთანხმდნენ კროგიუსი — გურგენიძე.

12 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: ნ. კროგიუსს, ა. ლეინს — 7,5-7,5 ქულა აქვთ, ე. გელერს, ლ. შტეინს, ვ. სმისლოვს — 7-7, ლ. პოლუგაევსკის, დ. ბრონშტეინს, ვ. კორჩნოის, ა. გიპსლისს — 6,5-6,5, რ. ხოლმოვს, მ. ტაიმანოვს — 6-6, ა. სუეტინს, ვ. ოსნოსს — 5,5-5,5, ი. ნიკოლაევსკის, ე. გუფელდს — 5-5, ბ. გურგენიძეს, ი. ნეის — 4,5-4,5, ე. ვასიუკოვს, ვ. ლიბერზონს, ვ. დოროშკევიჩს — 3,5-3,5.

დღეს მოჭადრაკეები ისვენებენ.

მოსწავლეთა XIX...

მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების დღეებში ბათუმის სპორტულ ბაზებზე სტარტი აიღო მოსწავლეთა XIX საქალაქო სპარტაკიადამ. სპარტაკიადის პროგრამაშია ასპარეზობა ჭადრაკში, ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, სიჩქაროსნობაში, სპორტულ ტანვარჯიშსა და მძლეოსნობაში.

ბავშვთა სპორტული სკოლის დარბაზში ასპარეზობდნენ ფრენბურთელები. გოგონათა და ჭაბუკთა 24 გუნდი დაყოფილი იყო 4 ქვეჯგუფად. ვაჟთა შორის სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს მე-12 სკოლის მოსწავლეებმა. II ადგილზე გავიდნენ მე-7 სკოლის წარმომადგენლები, ხოლო III — მე-10 სკოლის სპორტსმენები.

საინტერესოდ ჩატარდა ბრძოლა გოგონათა შორის. მე-7 სკოლის ფრენბურთელებმა ფინალში მოუგეს მე-12 სკოლის სპორტსმენებს — 2:1, მაგრამ წააგეს მე-10 სკოლის წარმომადგენლებთან — 0:2. მე-10 და მე-12 სკოლის გუნდების ასპარეზობას უნდა გამოევლინა I ადგილის მფლობელი. იმისათვის, რომ სპარტაკიადის ჩემპიონები გამხდარიყვნენ მე-12 სკოლის ფრენბურთელები, აუცილებლად უნდა მოეგოთ 2:0. შეხვედრა თუმცა მათი გამარჯვებით დამთავრდა — 2:1, მაგრამ ამან მხოლოდ II ადგილი მოუტანა. ჩემპიონები გახდნენ მე-10 სკოლის მოსწავლეები.

დაიწყო ასპარეზობა ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთსა და სპორტულ ტანვარჯიშში.

პ. ქებაბჩიანი.

ბათუმი.

• • •

სურათებზე: სპარტაკიადის ჩემპიონები მე-10 (მარცხნივ) **და მე-12 საშუალო სკოლების ფრენბურთელთა გუნდები.**

ფოტო ავტორისა.

ქუთაისელ მეაბრეშუმეებთან

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატს კარგი ტრადიციები აქვს არა მარტო შრომაში, არამედ ფიზკულტურასა და სპორტშიც. კომბინატის ფიზკულტურული საბჭოს ოთახში დიდძალი სპორტული „ალაფი" ინახება: საპატიო სიგელები, გარდამავალი ალმები, თასები, სხვადასხვა შეჯიბრების სამახსოვროები... აქვეა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც კომბინატის ფიზკულტურელებმა მიიღეს ჯილდოდ.

ეს წარმატება მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მაღალმა დონემ, სხვადასხვა შეჯიბრებაში სისტემატურმა მონაწილეობამ განაპირობა. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო შარშანდელი სეზონი. კომბინატის სპორტულ კოლექტივს შეემატა 2 სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, 4 ოსტატობის კანდიდატი, 14 პირველი, 10 მეორე და 162 მესამეთანრიგოსანი. ჭაბუკთა თანრიგოსნის ნიშანი მოიპოვა 21 ნორჩმა სპორტსმენმა, რომლებიც კომბინატის ბაზაზე შექმნილ ბავშვთა სპორტულ სექციებში მეცადინეობენ. დიდი ყურადღება ექცევა მასობრივ მუშაობას. კომბინატის ფიზკულტურის უფროსმა ინსტრუქტორმა ვახტანგ მიქაძემ გვითხრა:

— ფიზკულტურასა და სპორტში ჩვენი კოლექტივის 2 ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურეა ჩაბმული. ნაყოფიერად მუშაობს სხვადასხვა სპორტული სექცია. ამჟამად დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად ვემზადებით. შეჯიბრებაში გამოვიწვიეთ თბილისის სართავ-საქსოვი კომბინატის სპორტული კლუბი „ფეიქარი" და ფეხსაცმლის ფაბრიკის ფიზკულტურის კოლექტივი „ისანი".

ყველა საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტაში კომბინატის ფიზკულტურის საბჭოს მთავარ დასაყრდენს ფიზკულტურული აქტივი წარმოადგენს. განსაკუთრებით გამოირჩევიან ა. ჩორგოლაშვილი, ლ. კაკუშაძე, ლ. შუბლაძე, თ. ზოტოვა, თ. კატარლიცკაია და სხვები.

დღეისთვის ქალაქის ნაკრებში შედის კომბინატის 44, ხოლო „განთიადის" რესპუბლიკურ ნაკრებში 7 სპორტსმენი. მათ შორის არიან მოჭიდავეები, სპორტის ოსტატები — ზეინკალი მ. ლომსიანიძე, საამქროს ქვეოსტატი ა. ნუცუბიძე, ოსტატობის კანდიდატი ფარიკაობაში, აბრეშუმის პარკის დამხარისხებელი გ. ახვლედიანი, სპორტის ოსტატი ალპინიზმში, მუშა თ. ცომაია და სხვები.

საწარმოში შექმნილია ჯანმრთელობის ოთხი ჯგუფი საშუალო და უფროსი ასაკის მუშა-მოსამსახურეთათვის. სისტემატურად ეწყობა ტურისტული ლაშქრობები, მეთევზეთა და მონადირეთა შეჯიბრება. ყველა საამქროში საზოგადოებრივი ძალებით ტარდება საწარმოო ტანვარჯიში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ აქ დიდი ყურადღება ექცევა ბავშვთა ჯგუფების მუშაობას. კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა შვილებისთვის მუდამ ღიაა სპორტდარბაზის კარი. სექციების ხელმძღვანელებად საწარმოს საუკეთესო სპორტსმენები არიან გამოყოფილნი. ერთ-ერთი მათგანია მოჭიდავე ლერი კაკუშაძე.

— საზოგადოებრივ საწყისებზე ვამეცადინებ თავისუფალ ჭიდაობაში ბავშვთა სექციას, კლასიკურ ჭიდაობაში უფროსი ასაკის ჯგუფს, — გვითხრა ლერიმ, — სექციაში გაერთიანებულია 32 სპორტსმენი. ნორჩებიდან განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიო ბილისეიშვილი, ზუმბაძე, პროხოვი... მალე ჩვენს კომბინატში კლასიკურ ჭიდაობაშიც შეიქმნება ბავშვთა ჯგუფი.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა იმ ხელშემშლელ მიზეზებზე, რომელთა შესახებაც განსაკუთრებული გულისტკივილით გვესაუბრნენ ჩვენი მასპინძლები. 1965 წელს, კომბინატს რომ აფართოებდნენ, დაანგრიეს ტექნიკურად შესანიშნავად მოწყობილი ღია სპორტული ნაგებობა, სადაც კალათბურთელები, ფრენბურთელები და ხელბურთელები ვარჯიშობდნენ. ახალი მოედნის პროექტი კარგა ხანია მზადაა, მაგრამ მშენებლობა გაჭიანურდა. სწორედ ამის გამო, ერთგვარად შეფერხდა კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის სექციების მუშაობა. დირექციის მხარდაჭერა რომ იყოს, კომბინატის ახალგაზრდები თავად შეუდგებოდნენ საქმეს.

ვფიქრობთ, ქუთაისის სპორტკავშირის და თვით კომბინატის ხელმძღვანელები გაითვალისწინებენ მეაბრეშუმე სპორტსმენთა თხოვნას და ცდას არ დააკლებენ, რომ უახლოეს ხანში ამ მოწინავე ფიზკულტურულ კოლექტივს პირველხარისხოვანი ღია სპორტული ბაზაც ჰქონდეს.

რ. მეგრელიშვილი.

ქუთაისი.

დოსააფის კონფერენციებზე

ზრდის ნიშნით

ცხაკაიაში ჩატარდა დოსააფის რაიონული კონფერენცია. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა კომიტეტის თავმჯდომარე ა. ლომაია. მან აღნიშნა, რომ რაიონის ბევრი ორგანიზაცია 15 ათასზე მეტ კაცს აერთიანებს. შარშან საზოგადოებას კიდევ 400 წევრი შეემატა. ბევრ კოლექტივში ნაყოფიერად მუშაობენ წრეები. რაიონულმა კომიტეტმა ორმოცზე მეტი ღონისძიება გამართა ავტო, მოტო და რადიოსპორტში. გადაჭარბებით შესრულდა თანრიგოსნების მომზადების გეგმა.

კონფერენციაზე აღინიშნა ისიც, რომ რაიონის ბევრი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაცია სათანადოდ ვერ ეხმარება კოლექტივებს. ეს განსაკუთრებით საკოლმეურნეო ორგანიზაციებზე ითქმის.

კამათში გამოვიდნენ საქართველოს კპ ცხაკაიას რაიკომის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე ა. განგია, მე-2 საშუალო სკოლის პარტორგანიზაციის მდივანი შ. დარჯანია, ნ. ხარჩილაძე, ს. ტყებუჩავა, ჯ. ქაძანაია და სხვ.

კონფერენციამ მიიღო სათანადო დადგენილება.

ე. ბუგუნავა.
(ჩვენი კორ.).

ცხაკაია.

ცეცხლის ხაზზე

დოსააფის სოხუმის საქალაქო კომიტეტმა გამართა შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრზე წოლელა სროლაში, ცეცხლის ხაზზე გამოვიდნენ მხოლოდ ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურეები და მოსწავლეები. ტურნირში ძალას ცდიდნენ პურის მეორე ქარხნის, ქარხანა „სოხუმხელსაწყოს" და სხვა კოლექტივების საუკეთესო სპორტსმენები. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს „სოხუმხელსაწყოს" მსროლელებმა. პირად ჩათვლაში ყველას ამ ქარხნის ზეინკალმა ა. გრეჩკომ აჯობა.

ვ. ქობალია.

სოხუმი.

სპორტი და კიბ

უკანასკნელი მეცნიერული გამოკვლევები მეტყველებენ, რომ ყველაზე მომქანცველ შეჯიბრებებში ექსტრა-კლასის სპორტსმენი ხარჯავს ენერგიის მარაგის არა უმეტეს მეოთხედისა.

აქედან გამომდინარე, თეორიულად, ადამიანისთვის შესაძლებელია ისეთი მიღწევა, რომლის ციფრობრივ გამოხატულებასაც ფანტასტიკის სამყაროში გადავყავართ. რის ანგარიშზეა სავარაუდო მნიშვნელოვანი პროგრესი უმაღლეს სპორტულ დონეზე, თუ მსოფლიო რეკორდსმენები უკვე დღესაც იძულებული არიან ჭეშმარიტად ტიტანური დატვირთვით ივარჯიშონ? რ. კლარკი კვირის მანძილზე 200 კმ.-ზე მეტს ფარავს. ნუთუ მან, ვინც კლარკის რეკორდის „გაუქმებას" მოისურვებს, დღეში 8 საათი უნდა ირბინოს და კვირაში 350-450 კმ უნდა დაფაროს?

ამ შემთხვევაში ფიზიკური აღზრდის სასიამოვნო და სასარგებლო ფორმიდან სპორტი იქცევა ძალზე მომქანცველ და ზოგჯერ ჯანმრთელობისთვის მავნე შრომად. მაგრამ, არსებობს თუ არა სხვა, უფრო რაციონალური გზა სპორტული მწვერვალებისკენ?

მსაჯი გ. ელენსკი აას-ის თხოვნით შეხვდა პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის თეორიის კათედრის დოცენტს ვ. ზაციორსკის და მისცა შეკითხვები, დაკავშირებული სპორტში ადამიანის შესაძლებლობათა ზრდის პერსპექტივებთან.

⊙ როგორ გესახებათ სპორტში ადამიანის სხეულის პოტენციური მარაგის შემდგომი გამოყენების პერსპექტივა?

— მხოლოდ არა ფიზიკური დატვირთვის ზრდის ხარჯზე. აქ უკვე თითქმის ყველა შესაძლებლობა ამოიწურა. ფიზიოლოგები, ბიოქიმიკოსები, ბიომექანიკოსები, ფსიქოლოგები და მეთოდისტები ახლა სპორტული პროგრესის სხვა გზის ძიებაში არიან. ადამიანის სხეულის რეზერვის გამოყენება შეიძლება და გონივრულიცაა, პირველ ყოვლისა, მოძრაობის ფსიქოლოგიური მომზადების, სხეულის სხვადასხვა ფუნქციის მართვის სრულყოფის გზით.

⊙ განა მსოფლიოს რეკორდსმენებმა და ოლიმპიურმა ჩემპიონებმა არ მიაღწიეს მოძრაობის სრულყოფას?

— რა თქმა უნდა, არა. ჩვენი „კოსმოსური" მხტომელი ვ. ბრუმელი, ან ძალოსანი ი. ვლასოვი რომ იდეალურად ასრულებდნენ თავიანთ ვარჯიშს, ამ ვარჯიშის შესრულების მონაწილე მთელი კუნთური სისტემა რომ სავსებით სრულყოფილად ჰქონდეთ განვითარებული, ბრუმელი დიდი ხანია გადასცდებოდა 2 მ და 35 სმ-ს, ვლასოვი კი 600-კილოგრამიან ზღვარს გადალახავდა ძალოსნურ სამჭიდში.

ამ ხუთი წლის წინ სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. დიაჩკოვმა საფუძვლიანად შეისწავლა ჩვენი ქვეყნის რამდენიმე უძლიერესი სიმაღლეზე მხტომელი. შეისწავლა და გაოცებული დარჩა. აღმოჩნდა, რომ ოლიმპიურ ჩემპიონს რობერტ შავლაყაძეს სუსტად ჰქონია განვითარებული ბარძაყის კუნთები. ეს კუნთები კი ხტომის დროს ერთ-ერთ უპირველეს როლს ასრულებს.

და აი, 27 წლის ასაკში, როცა ექსტრა-კლასის მხტომელები, ჩვეულებრივ, ტოვებენ სპორტს, რობერტმა დაიწყო სუსტი კუნთების გაძლიერებული ვარჯიში და 4 წლის თავზე დაამყარა პირადი რეკორდი — 2 მ და 17 სმ. აქედან გამომდინარე, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რამდენად უფრო მაღალშედეგიანი იქნებოდა მისი ოსტატობა, ეს კუნთები ჭაბუკობიდანვე რომ უკეთ განვითარებული ჰქონოდა.

ასეთი შემთხვევები ხშირია და აიხსნება, უმთავრესად, საჭირო ცოდნისა და იმ აპარატურის უქონლობით, კუნთების დატვირთვის დონისა და მათი განვითარების „კონტროლის" საშუალებას რომ იძლევა. ამიტომ მწვრთნელებს პრაქტიკულად არა აქვთ შესაძლებლობა ზუსტად შეაფასონ ბევრი ვარჯიშის შესრულების ხარისხი და დროულად შენიშნონ გარეგნულად შეუმჩნეველი შეცდომები. შედეგად, ბევრი ნაკლი გვიან იჩენს თავს და მაშინ მათი აღმოფხვრაც უფრო ძნელია.

კუნთების მოქმედებაზე ზუსტი კონტროლის მიღწევა, განსაზღვრული მამოძრავებელი ძალის საჭიროების მიხედვით წარმართვა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა სწავლულები ჩასწვდებიან მოძრაობის საიდუმლოს, შეისწავლიან მის რთულ მექანიზმს. ამ პრობლემის გადაწყვეტაში მხოლოდ კიბერნეტიკა შეიძლება დაგვეხმაროს.

მაგრამ როგორ? ამისთვის, პირველ ყოვლისა, აუცილებელია შევადგინოთ მათემატიკური მოდელები, რომლებიც ამა თუ იმ მოძრაობის შესრულების სისტემას გამოხატავენ.

⊙ მათემატიკური მოდელი რაღაა?

— ეს შეიძლება შემდეგი მაგალითებით აიხსნას:

ტვინი ასობით ათას ფუნქციას ასრულებს, ჩვენ კი გვაინტერესებს, ვთქვათ, მათგან ერთ-ერთი. ყველა სხვა პროცესს თავს ვანებებთ და მხოლოდ ერთს განვიხილავთ. ამგვარად, ვსწავლობთ არა ტვინს მთლიანად, არამედ მის რამდენადმე გამარტივებულ კონსტრუქციას — მოდელს. ასევე შეიძლება ვილაპარაკოთ დინამური სისტემის არა მთელი სხეულის, არამედ ცალკეული მოძრაობების მართვაზედ.

მაგალითად, რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომელმა ვ. ნაზაროვმა დიფერენციალური განტოლებების საფუძველზე, ელექტრონულ-მამოდილერებელი დანადგარის მნ-7-ის დახმარებით დაამუშავა ელექტრონულ-ფუნქციონალური მოდელი, რომელიც ძელზე ვარჯიშს ასახავს.

⊙ მაგრამ რა დახმარებას გაგვიწევს ეს სპორტსმენების წვრთნაში?

— მეცნიერული გამოკვლევებით დასტურდება, რომ მოძრაობის შესწავლა შეიძლება ელექტრონული პროგრამირების მოწყობილობის საშუალებით. ყოველი ასეთი ხელსაწყო ამა თუ იმ მამოძრავებელი სისტემის მათემატიკური მოდელის განსახიერებაა.

ეს დაახლოებით ასე ხდება: ჯერ შეისწავლიან კუნთების ერთ-ერთ რომელიმე ჯგუფს, რომელიც ამა თუ იმ მოძრაობის შესრულებაში მონაწილეობს, შემდეგ ადგენენ მის მათემატიკურ მოდელს და გადააქვთ ელექტრონულ დანადგარებზე, ან გამომთვლელ მანქანებზე, რომლებიც სხეულის მდგომარეობის პროგრამირებას ახდენენ. ეს მდგომარეობა ელექტრული სიგნალების

მოცეკვავეთა 100 წყვილი

1967 წლის უდიდეს საერთაშორისო შეჯიბრებებში ჩვენი ქვეყნის ფიგურისტ-მოცეკვავეთა წარმომადგენლები იქნებიან სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი ყინულზე ცეკვაში ვ. რიჟკინი და მისი ახალი პარტნიორი ი. გრიშკოვა.

აას-ის კორესპონდენტმა ვ. ანისიმოვმა რიჟკინს სთხოვა გადაეხედა ახლო წარსულისთვის და გამოეთქვა აზრი ფიგურისტთა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების შესაძლებელ შედეგებზე.

— ამ ზამთარს უკვე ბევრ შეჯიბრებაში მივიღე მონაწილეობა, — თქვა ვ. რიჟკინმა. — ვფიქრობ, მე და ირინას ყველაზე მეტი სარგებლობა მოგვიტანა „პრაღის ციგურების“ ტრადიციულმა გათამაშებამ, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში ჩატარდა. არსებითად ეს ევროპის პირველობა იყო და ჩვენ მესამე საპრიზო ადგილი დავიკავეთ. ჯერჯერობით ეს საბჭოთა მოცეკვავე წყვილების ყველაზე დიდი წარმატებაა ამგვარი მასშტაბის შეჯიბრებებში. რა თქმა უნდა, გახარებული ვართ.

ტურნირში მონაწილეობდა ევროპის თითქმის ყველა ძლიერი მოცეკვავე, გარდა ჩემპიონების, ინგლისელების — დიანა ტაულერისა და რ. ფორდისა. „ტიტულოვანი წყვილების“ შემადგენლობა მეტად სოლიდური გახლდათ. მწვავე მეტოქეობამ შექმნა შესაძლებლობა იმისა, რომ ობიექტურად შეფასებულიყო ევროპის მოცეკვავეთა დღევანდელი დონე ახალი სეზონის დამდეგს.

ვფიქრობ, ამ ტურნირში წარმატება არის საწინდარი, რომ ჩვენ არა თუ იმედი, არამედ სავსებით რეალური პრეტენზიაც უნდა გვექნეს ევროპის მომავალ ჩემპიონატში V ადგილის მოპოვებისა. ასე რომ, წლევანდელი სეზონი, სტარტის მიხედვით, ძალზე სასიამოვნო უნდა იყოს. ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ ფიგურული სრიალის დონე საგრძნობლად ამაღლდა.

● ყინულზე ცეკვის ფუძემდებლები ინგლისელები არიან. ისინი ძალზე იშვიათადაც აგებენ ჩემპიონატებში. რით შეიძლება აიხსნას, რომ პრაღაში ინგლისელები პრიზიორთა რიცხვში ვერ მოხვდნენ?

— პირველ ყოვლისა იმით, რომ არ გამოდიოდნენ ტაულერი და ფორდი. რომ ჩამოსულიყვნენ, ისინი უთუოდ დაისაკუთრებდნენ პირველ ადგილს. ჩემი აზრით, მათ წმინდა ტაქტიკური მოსაზრებით თქვეს უარი ამ შეჯიბრებაში მონაწილეობაზე: არ სურდათ საპასუხისმგებლო ტურნირების წინ თავისი ოსტატობის საიდუმლო გამოეაშკარავებინათ. ჩეხოსლოვაკიაში ასპარეზობა ხომ, პირველ ყოვლისა, შემოქმედებითი სემინარია ფიგურისტებისთვის. პრაღაში ჩამოდიან, რომ შეამოწმონ რა არის ახალი ფიგურული სრიალის ამა თუ იმ სახეობაში, ჩამოდიან სასწავლად.

რაც შეეხება მეორე ინგლისურ წყვილს, სხვათა შორის, ასევე ძლიერს, იგი თანაბარ პოზიციებზე იბრძოდა. წლები გადის, ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ წავიდა დრო, როცა ინგლისელებს ათი წყვილის გამოყვანა და ათი პირველი ადგილის მოხვეჭა შეეძლოთ. დღეს მათ მხოლოდ ორ-სამ წყვილს თუღა აქვს საპრიზო ადგილების მოპოვების პრეტენზია.

● ევა და პაველ რომანოვების ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ დაიწყო ლაპარაკი ყინულზე ცეკვის ახალ, ჩეხოსლოვაკიურ სკოლაზე. რამდენად შეესაბამება ეს ჭეშმარიტებას?

— ჩემი აზრით, სწორი არაა თავად ტერმინები — „ჩეხოსლოვაკიური“ და „ინგლისური“ სკოლა. ასეთი სკოლები არ არსებობს, როგორც არ არსებობს ყინულზე ცეკვის სტილი ინგლისურს გარდა. ფიგურული სრიალის ეს სახე ინგლისელებმა გამოიგონეს და დღემდე ისინი ხელმძღვანელობენ ძიებას, გვკარნახობენ ცეკვის მოდას.

იმ წლებშიც კი, რომანოვები რომ იმარჯვებდნენ, მათ ზურგს უკან ინგლისელები იდგნენ. ამ უკანასკნელთა გამოცდილება და ოსტატობა იყო სწორედ ერთგვარი სასტარტო მოედანი ჩეხოსლოვაკიელი ფიგურისტებისთვის.

რომანოვები ტექნიკურად ძალზე ძლიერი სპორტსმენები არიან. მათ საოცარი ურთიერთგაგებისა და რიტმის გრძნობა, თავისი ტემპი და მოძრაობის ფანტასტიკური სინქრონულობა შეიტანეს ყინულზე ცეკვის ტრადიციასა და წესებში. ისინი აოცებდნენ მსაჯებსა და მაყურებელს ჭაბუკური სილაღით. რომანოვებმა მეტოქეებს აჯობეს ყოველივე ამის შერწყმით ინგლისურ სტილთან.

ზემოთქმული რამდენადმე ეხება ჩეხოსლოვაკიელთა მეორე წყვილს — ბაბიცკა—გოლანსაც. ამ წყვილმა მოიგო პრაღის ტრადიციული ასპარეზობა. მაგრამ მათ აკლიათ რომანოვებისებური ტექნიკა და ამიტომ, ჩემი აზრით, გაუჭირდებათ ახლანდელ ჩემპიონებთან შეჯიბრება. ასე რომ, დღეს ძნელია ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში სიურპრიზების იმედი ვიქონიოთ.

● როგორ აფასებთ ამ შეჯიბრებათა მონაწილეების შანსებს?

— მომავალი ჩემპიონები უკვე დავასახელე — დიანა ტაულერი და რობერტ ფორდი. მეორე-მესამე ადგილების რეალური პრეტენდენტები ჩეხოსლოვაკიელი წყვილები და გფრ-ის ფიგურისტები არიან. სპორტული ფორტუნა, მოცეკვავეთა ნერვები და, რამდენადმე, მსაჯების აზრი გადაწყვეტს, ვინ დაიკავებს მეოთხე-მეხუთე ადგილებს: გდრ-ის წყვილი, თუ მე და ირინა (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ დიდი იმედი გვაქვს გამარჯვებისა).

● მსოფლიო ჩემპიონატის მედლებისთვის ბრძოლაში ამერიკელებიც ჩაებმებიან. რით ემუქრება ეს ევროპელებს?

— ამერიკელი მოცეკვავეები მართლაც არ არიან აგრერიგად ხელწამოსაკრავი. მსოფლიო ჩემპიონატებში ძირითადად სწორედ ისინი უწევენ მეტოქეობას ინგლისელებს. აშშ-ის ფიგურისტების შესრულება უფრო მკაცრია. ინგლისური დუეტი, ჩემი აზრით, გამომსახველობითა და მუსიკალურობით ჯობს მათ. გამარჯვებულის გამოვლენა ძალზე ძნელი იქნება. მსაჯები ზედმიწევნით ზუსტი უნდა იყვნენ ქულების მინიჭებისას: განსხვავება უმნიშვნელო იქნება.

● როგორ ფიქრობთ, შეძლებენ მომავალში ჩვენი მოცეკვავეები განთქმული საბჭოთა წყვილების — ბელოუსოვასა და პროტოპოპოვის, ჟუკისა და გორელიკის დონემდე ამაღლებას?

— მოცეკვავეები დიდხანს ვგრძნობდით თავს გერებად ფიგურულ სრიალში. შეიძლება ეს იმიტომაც ხდებოდა, რომ მეტად მოკრძალებული შედეგები გვქონდა. დღეს კი უკვე დაგვიგროვდა ერთგვარი გამოცდილებაცა და დამსახურებაც. უფრო თავისუფლად დავიწყეთ სუნთქვა. გაითვალისწინეთ, რომ ამ ბოლო წლებში ჩვენში მწვავე მეტოქეობა გაჩაღდა მოცეკვავე წყვილთა შორის, ხოლო მოწინავე სპორტსმენების ტექნიკა საგრძნობლად წავიდა წინ.

ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით უცხოელ მოცეკვავეებს საერთო მომზადებით, ტექნიკური აღჭურვილობით. ყინულზე ცეკვას ჯერ მაინც არა აქვს მასობრივი ხასიათი ჩვენს ქვეყანაში. მე კი ვისურვებდი არა ერთ და ორ, არამედ ას მოცეკვავე წყვილთან შეხვედრას ყინულზე. თუ ჩვენ სპორტულ გეოგრაფიას სწორად შევაფასებთ, ასი ბევრი როდია. მასობრიობა ხელს უწყობს სპორტის წინსვლას — ეს ჭეშმარიტებაა.

ჩვენ იშვიათად ვხვდებით უცხოელ სპორტსმენებს, გვიან ვეცნობით სიახლეს ყინულზე ცეკვის ტექნიკაში. სწორედ ამიტომ იძულებული ვართ შეჯიბრებების დროს სახელდახელოდ გადავაკეთოთ საკუთარი პროგრამა. ბუნებრივია, ეს გავლენას ახდენს შესრულების სიწმინდეზე, ქულებსა და მაღალ ადგილებს გვართმევს.

არც ერთი ეს პრობლემა გადაუჭრელი არ არის. ვფიქრობ, 2-3 წლის შემდეგ ჩვენი მოცეკვავეები შეძლებენ არა მხოლოდ საპრიზო ადგილებისთვის, არამედ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონების სახელისთვის ბრძოლასაც.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ვ. რიჟკინი თავის პარტნიორთან ერთად.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

ყოველი მხრიდან

„ნურმი პირველია!“

პოლონურმა ჟურნალმა „სპორტმა“ მსოფლიოში ყველა დროის საუკეთესო მძლეოსანთა შორის III ადგილზე დაასახელა ლეგენდარული ფინელი სტაიერი პაავო ნურმი (ამერიკელ ჯესი ოუენსისა და ცნობილი ჩეხოსლოვაკიელი მორბენლის ემილ ზატოპეკის შემდეგ). ამან დიდად როდი ალაფრთოვანა ზატოპეკი: „თუ ჩემი აზრი გნებავთ, — განაცხადა მან, — სწორედ ნურმია ყველა დროის უდიდესი მძლეოსანი. ფინელმა მორბენალმა ჩვენ შორის ყველაზე მეტი მედალი მოიპოვა. მისი „ოქროს ხანა“ 1920 წლიდან 1932 წლამდე გრძელდებოდა. ეს არც ერთ გამოჩენილ სპორტსმენს არ ღირსებია“.

თავისი გვარი ზატოპეკმა მეორედან მესამე ადგილზე „გადაწია“.

პრაღა.

რეკნაგელი — მორბენალი?

გდრ-ის ცნობილი „მფრინავი-მოთხილამურე“, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი და სკვო-ველის ოლიმპიადის გმირი, 30 წლის ჰელმუტ რეკნაგელი ოცნებობს... მოთხილამურე-მორბენლის კარიერაზე.

რეკნაგელი ბერლინის ჰუმბოლტის სახელობის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტს ამთავრებს. საჰაერო ფრენის დიდებული ოსტატი გამოტყდა, რომ ხშირად გულდაწყვეტილი ადევნებს თვალს „მიწიერ“ მოთხილამურეებს. მაგრამ ეს ყველაფერი როდია: „მე უკვე ვცადე ვარჯიში და მორბენალთა შეჯიბრებებში მონაწილეობაც კი. წარმოიდგინეთ, წარმატებაც მქონდა“, — თქვა მან.

მაშ ასე, შეიძლება რეკნაგელი მალე დაუბრუნდეს დიდ სპორტს.

ბერლინი.

რნეტიკა

„ყოველი საგნის დედაარსი რიცხვია“.

პითაგორი

გადაეცემა შემადარებელ მოწყო-
ბას. იგი ღებულობს სიგნალებს
სმენის სხეულზე დამაგრებული
ეებიდან. ვარჯიშში შეცდომას
ე ამხელს სხვადასხვა ტონალო-
იმკვეთრისა და სიხშირის ხმოვა-
ნათლის, ან თვალსაჩინო სიგ-
. მოწყობილობა თითქოს კითხ-
ძლევს სპორტსმენს, ის კი მოძ-
თ პასუხობს. მანქანა გვატყობი-
რამდენად სწორია ეს პასუხი.
ოდ ასე შეიძლება მივაღწიოთ სა-
ო კონტროლს ყველა კუნთის
დებაზე, ამა თუ იმ მამოძრავე-
თვისების ზუსტად მართვას. მა-
თად, როცა სპორტსმენი ტრამპ-
დან თხილამურით ხტება,
ნელს შეუძლია შენიშნოს მხო-
რამდენიმე დეტალი მისი მოძ-
სა. ამიტომ მხტომელთა მოსამზა-
დ სულ უფრო მეტი მნიშვნე-
ენიჭება დარბაზში ვარჯიშს.
რტსმენი დგება საგანგებო გა-
მებით აღჭურვილ ბაქანზე, და-
წონა მდგომარეობას იღებს და
ბს ეკრანს, რომელზეც ესტაკადაა
დილი. შემდეგ იგი ნახტომის
ციას ასრულებს. ოსცილოგრაფი
დავს სიმძიმის ცენტრის გადანა-
ბას, არეკნის დროს დახარჯულ ძა-
სინქრონულად აღინიშნება კად-
ცვალებადობაც. ყოველი ცდის
ხელთ გვაქვს ვარჯიშის შესრუ-
ხარისხის სრული ინფორმაცია და
ზის მიზეზიც მაშინვე ხდება ნა-

მეორე მაგალითი: საბაიდარო სპორტში ბალანსირების ჩვევების დაუფლებას ჩვეულებრივ მთელი სეზონი სჭირდება. ყაზანის უნივერსიტეტის მასწავლებელმა ვ. შადრინმა კი დაამუშავა კონსტრუქცია ხელსაწყოსი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას ეს დრო... ხუთ სამწუთიან ვარჯიშამდე შემცირდეს.

ჩვეულებრივ, სპორტული ოსტატობის მწვერვალებისკენ გზა მრავალი წლის შეუპოვარი წვრთნით იზომება. მაგრამ ეს გზა შეიძლება საგრძნობლად შემცირდეს, თუ კი მოვახერხებთ და თავიდან ავიცილებთ ენერგიის ტყუილუბრალოდ ხარჯვას. რაც მთავარია, თუ ნაკლებ დროს დავუთმობთ სპორტული ამპლუისა და ტექნიკის უკეთესი ვარიანტების ძებნას.

⊙ შესაძლებელია თუ არა ფსიქოლოგიური და ტაქტიკური მომზადების მოდელირება?

— რამდენადმე. თუმცა, ეს ძალიან რთულია.

მსოფლიო პირველობებში ყოველწლიურად გამოდის სულ უფრო მეტი ცნობილი ათლეტი, რომელთა ფიზიკური შესაძლებლობა და თითქმის დიდი ხელოვნების დონემდე ასული სპორტული ოსტატობა თანაბარია. მაგრამ როცა ღირსეული მეტოქეების ჭიდილი იწყება, გამარჯვების შანსი უფრო მეტად მას აქვს, ვინც ფსიქოლოგიურად უკეთაა მომზადებული. შემთხვევითი როდია, რომ მომავალ ოლიმპიელთა ფსიქოლოგიურ მომზადებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ყველა ქვეყანაში.

ლაპარაკია არა მხოლოდ აზროვნების წვრთნაზე, საკუთარი მოქმედების გაანალიზებასა და სწორი გადაწყვეტილების სწრაფად მიღებაზე. არა, ეს თავისთავად იგულისხმება. მთავარია გამოიმუშაო სიმტკიცე და ყოველგვარ გარემოში მოახერხო შეძენილი ჩვევების გამოყენება. აი, ეს უნდა იდოს საფუძვლად სპეციალურ ფსიქოლოგიურ მზადებას. ჩვენ უკვე გვაქვს რამდენიმე ელექტრონულ-მაპროგრამირებელი მოწყობილობა, რაც საშუალებას გვაძლევს მოვარჯიშეებს დავუსვათ რთული ფსიქოლოგიური ამოცანები. განვიხილოთ ასეთი მაგალითი: კალათბურთელი ბურთით ხელში მიემართება მეტოქის ფარისკენ, მოწინააღმდეგე კი, ბუნებრივია, ყოველი ღონით ცდილობს შეაჩეროს იგი. იქმნება უამრავი სხვადასხვა სიტუაცია, რაც სპორტსმენისაგან ტაქტიკური და ტექნიკური ამოცანების უსწრაფესად გადაჭრას მოითხოვს: გაიჭრას ბურთით წინ, თუ რომელიმე პარტნიორს გადასცეს იგი? და თუ კი ეს აუცილებელია, ოთხიდან რომელ მოთამაშეს მიაწოდოს ბურთი? მიღებული ტაქტიკური გეგმის შესაბამისად უნდა გადაიჭრას ტექნიკური ამოცანაც: როგორ შეასრულოს ფინტი, რომ თავი დააღწიოს მეტოქის მეურვეობას, რა ძალით ტყორცნოს ბურთი. სხვადასხვა შემთხვევაში მუშაობაში ებმება სხვადასხვა კუნთი. ერთადერთი სწორი გზის მისაღებად მათემატიკის თვალსაზრისით ძალზე ძნელი ამოცანის ამოხსნა იქნებოდა საჭირო. ტვინი ინტუიციით პოულობს გადაწყვეტას, მაგრამ ეს უნარი სპორტსმენის ინტელექტსა და ფსიქოლოგიურ მომზადების დონეზეა დამოკიდებული.

აქ უკვე ისმის შემოქმედებითი აზროვნების წვრთნის საკითხი. მისი ნაწილის მოდელირება თეორიულად შესაძლებელია. ახლა ავანსცენაზე გამოდის კიბერნეტიკის ახალი მიმართულება — ევრისტიკა. მისი მიზანია რთული ფსიქოლოგიური კანონების გამოვლენა და მათი მართვა. მაგრამ ამ საკითხის თეორიული კვლევა ჯერ მხოლოდ დაიწყო.

⊙ რამდენად რეალურია სხეულის შინაგანი ფუნქციების მართვა?

— ყოველ შემთხვევაში, მიზანთან ახლოს ვართ. სპორტსმენის გამძლეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად გამოყოფს მისი მუშა-კუნთები ცვლის პროდუქტებს. ბიოქიმიკოსმა ნ. ვოლკოვმა დაამუშავა მათემატიკური მოდელები, რომლებიც ჟანგბადის ცვლისა და რძის მჟავას წარმოქმნის პროცესს აღბეჭდავენ. ეს მოდელები ასახავენ ენერგეტიკული ცვლის პროცესების სისწრაფის ცვალებადობის შესაძლებლობას სხვადასხვა ფიზიოლოგიური ფაქტორის გავლენით. ასეთი კვლევა სპორტსმენის სხეულში ნივთიერებათა ცვლაზე აქტიური ზემოქმედების საშუალებას იძლევა. ეს მართვის კიდევ ერთი მძლავრი იარაღია მწვრთნელებისთვის, რაც მათ თავიანთი აღსაზრდელების მომზადებისთვის გამოადგებათ.

ფიზკულტურის ცენტრალურმა ინსტიტუტმა შარშან ნოემბერში ჩაატარა კონფერენცია თემაზე: „კიბერნეტიკა და სპორტი“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს არა მხოლოდ ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-მუშაკებმა, არამედ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების, უნივერსიტეტების, პოლიტექნიკური და მათემატიკური განხრის უმაღლესი სასწავლებლებისა და გამომთვლელი ცენტრების წარმომადგენლებმა. არსებითად, კონფერენცია იქცა სწავლულთა ფორუმად, რომელიც სპორტში კიბერნეტიკის გამოყენების საკითხებს მიეძღვნა.

კონფერენციაზე წაიკითხეს 40 მოხსენება. იყო ცოცხალი კამათი. წამოიჭრა ბევრი ახალი პრობლემა. მეცნიერებს დიდი სამუშაო ელით ამ სფეროში. მაგრამ კვლევის უკვე პირველი შედეგები ნათელ პერსპექტივებს სახავს.

ფეხბურთი ფეხბურთი

ბობი ჩარლტონი — 1966 წლის დი სტეფანო

როგორც ვიუწყებოდით, საფრანგეთის ყოველკვირეულის „ფრანს ფუტბოლის" ტრადიციული პრიზი — „ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს", მიიღო ინგლისის ნაკრების თავდამსხმელმა ბობი ჩარლტონმა. დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ ამ კონკურსის დაწვრილებით შედეგებს.

ავსტრია (ფ. ვინერი). 1. ჩარლტონი, 2. ეუსებიო, 3. ბეკენბაუერი, 4. ალბერტი, 5. მური.

ბელგია (ჟ. ლეკოვიე). 1. ჩარლტონი, 2. ეუსებიო, 3. ბეკენბაუერი, 4. მური, 5. ვან ჰიმსტი.

ბულგარეთი (ა. იასნიკოვი). 1. ჩარლტონი, 2. ეუსებიო, 3. იაშინი, 4. ბეკენბაუერი, 5. ალბერტი.

დანია (პ. ანდერსენი). 1. ეუსებიო, 2. მური, 3. ბეკენბაუერი, 4. ბენე, 5. ბოლი.

ინგლისი (ბ. გლენვილი). 1. ბოლი, 2. მური, 3. ეუსებიო, 4. ჰერსტი, 5. ბეკენბაუერი.

ჩრ. ირლანდია (დ. აშმური). 1. ეუსებიო, 2. ბეკენბაუერი, 3. მური, 4. ბენე, 5. ბოლი.

იტალია (ა. ბერდელი). 1. ჩარლტონი, 2. ეუსებიო, 3. ბენე, 4. მაცოლა, 5. ბეკენბაუერი.

იუგოსლავია (ლ. ლოვრიჩი). 1. ეუსებიო, 2. ჩარლტონი, 3. ბეკენბაუერი, 4. კორსო, 5. ლოუ.

ლიუქსემბურგი (ჟ. ბულეი). 1. ჩარლტონი, 2. ალბერტი, 3. ეუსებიო, 4. ასპარუხოვი, 5. ბეკენბაუერი.

უნგრეთი (ლ. ლუკაჩი). 1. ალბერტი, 2. ჩარლტონი, 3. ეუსებიო, 4. კორსო, 5. ბეკენბაუერი.

გფრ (მ. ბლიკენსდორფერი). 1. ჩარლტონი, 2. ეუსებიო, 3. ბეკენბაუერი, 4. ალბერტი, 5. შულცი.

პოლონეთი (კ. კრიჟევსკი). 1. ეუსებიო, 2. მური, 3. ბეკენბაუერი, 4. ჩარლტონი, 5. ვორონინი.

პორტუგალია (კ. ხანტოსი). 1. ჩარლტონი, 2. ეუსებიო, 3. ალბერტი, 4. ბეკენბაუერი, 5. მური.

სსრ კავშირი (მ. მერჟანოვი). 1. ჩარლტონი, 2. ეუსებიო, 3. იაშინი, 4. ვორონინი, 5. ბეკენბაუერი.

თურქეთი (ს. ვერი). 1. ჩარლტონი, 2. ბეკენბაუერი, 3. ეუსებიო, 4. მური, 5. ფარკაში.

საფრანგეთი (ჟ. ვერნანი). 1. ჩარლტონი, 2. ბეკენბაუერი, 3. ეუსებიო, 4. ალბერტი, 5. ჩისლენკო.

ჰოლანდია (ა. ვიტკამპი). 1. მური, 2. ეუსებიო, 3. ბეკენბაუერი, 4. ჩარლტონი, 5. ალბერტი.

ჩეხოსლოვაკია (ი. შალეკი). 1. მური, 2. ეუსებიო, 3. ბეკენბაუერი, 4. ჩარლტონი, 5. ალბერტი.

შვეიცარია (რ. პიტე). 1. ტორესი, 2. ბეკენბაუერი, 3. ჩარლტონი, 4. ფარკაში, 5. ვორონინი.

შვეცია (ვ. ლიბერგი). 1. ჩარლტონი, 2. ეუსებიო, 3. ბეკენბაუერი, 4. ალბერტი, 5. ფარკაში.

შენიშვნა: ანკეტის მონაწილეები ასახელებდნენ 10 უძლიერეს ფეხბურთელს, ჩვენ კი მხოლოდ 5-5-ის სიას ვაქვეყნებთ.

ხმების დაჯამების შემდეგ კლასიფიკაციაში ადგილები ასე განაწილდა:

1. ბობი ჩარლტონი („მანჩესტერ იუნაიტედი") — 81 ქულა, 2. ეუსებიო („ბენფიკა") — 80, 3. ბეკენბაუერი („ბაიერნი") — 59, 4. მური („ვესტ ჰემი") — 31, 5. ალბერტი, („ფერენცვაროში") — 23, 6. ბენე („უიპეშტი") — 8, 7-9. იაშინი („დინამო", მოსკოვი), ბოლი („ევერტონი"), ფარკაში („ვაშაში") — 6-6, 10. ტორესი („ბენფიკა"), 11-12. კორსო („ინტერნაციონალე"), ვორონინი („ტორპედო", მოსკოვი), 13. კოლუნა („ბენფიკა"), 14-15. ასპარუხოვი („ლევსკი"), ჰერსტი („ვესტ ჰემი"), 16. მაცოლა („ინტერი"). 17. ბენქსი („ლესტერი"), 18. დინი („მანჩესტერ იუნაიტედი"), 19. შულცი („ჰამბურგი"), 20. ლოუ („მანჩესტერ იუნაიტედი").

* * *

სურათზე: შეტევაზეა ბობი ჩარლტონი.

ჟურნალისტთა აზრით

ევროპის ქვეყნების სპორტულმა ჟურნალისტებმა დაასახელეს თავიანთი ქვეყნების 1966 წლის საუკეთესო ფეხბურთელი. აი, მათი სია:

პოლონეთი: ს. ოსლიზლო (ზაბჟეს „გურნიკი").
ჩეხოსლოვაკია: ი. მასოპუსტი (პრაღის „დუკლა").
უნგრეთი: ფ. ალბერტი (ბუდაპეშტის „ფერენცვაროში").
რუმინეთი: ნ. დობრინი (პიტეშტის „დინამო").
ბულგარეთი: ა. შალამანოვი (სოფიის „სლავია").
იუგოსლავია: დ. ჯაიჩი (ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა").
იტალია: რ. როზატო („მილანი").
საფრანგეთი: ფ. გონდე („ნანტი").
ბელგია: ვ. ვან მოერი („ანტვერპენი").
ჰოლანდია: ვ. დულენსი („სიტარდია").
ინგლისი: ბ. ჩარლტონი („მანჩესტერ იუნაიტედი").
შოტლანდია: ჯ. გრეიგი („გლაზგო რეინჯერსი").
გფრ: ფ. ბეკენბაუერი (მიუნჰენის „ბაიერნი").
დანია: ლ. ნილსენი (კოპენჰაგენის „ფრემი").
შვეცია: ო. კინდვალი (როტერდამის „ფეიენოორდი").
ნორვეგია: ფ. ტორესენი (ოსლოს „სკეიდი").
ფინეთი: მ. მეკელა („ჰიკ ჰელსინკი").

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

ესპანეთი: მარსელინოს 3 გოლი

ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგ ტურში მადრიდის „რეალმა" მიიღო „პონტევედრა". მადრიდელებმა ორჯერ აიღეს მეტოქის კარი — 2:0. ბარსელონაში ამავე სახელწოდების ადგილობრივი გუნდი შეხვდა მადრიდის „ატლეტიკოს". შეუპოვარი შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 3:2.

თასის მფლობელი — „რეალ-სარაგოსა" შინ შეხვდა „გრანადას". სარაგოსელთა პირველი გოლი სტუმრებმა მალე გაქვითეს, მაგრამ მასპინძელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა მარსელინომ კიდევ 3 ბურთი გაიტანა „გრანადას" კარში — 4:1.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „ლა კორუნია" — „კორდოვა" 2:0, „სევილია" — „ესპანიოლი" 1:0, „ერკულესი" — „ელჩე" 1:3, „ატლეტიკო" (ბილბაო) — „საბადელი" 1:1.

აი, ლიდერებიც:

	თ.	ბ.	ქ.
„რეალი" (მადრიდი)	17	29:13	28
„ესპანიოლი"	17	24:15	23
„ვალენსია"	16	39:16	22
„ბარსელონა"	17	34:18	21
„რეალ-სარაგოსა"	17	30:29	19

„ვერნე" — ევროპაში საუკეთესო აუზი

სხვადასხვა ქვეყნის სპორტულმა ჟურნალისტებმა უკვე კარგა ხანია ტრადიციად აქციეს საუკეთესო სპორტსმენთა, ან გუნდების დასახელება. ამას წინათ ცნობილი გახდა კიდევ ერთი ორიგინალური რეფერენდუმის შედეგი. პარიზის სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა" ჩაატარა კონკურსი: „რომელი საცურაო აუზი იყო ევროპაში საუკეთესო?".

ამ თავისებური კონკურსის მონაწილეებს მხედველობაში უნდა მიეღოთ აუზის არა მარტო ტექნიკური ღირსებები, არამედ სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა მიერ ამ სარბიელზე ნაჩვენები შედეგების ხარისხიანობაც. რეფერენდუმის შედეგად გამოირკვა, რომ ევროპაში საუკეთესო საცურაო აუზი ყოფილა ჟენევის „ვერნე", სადაც დამყარდა არა ერთი ევროპული რეკორდი და გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური შეხვედრა წყალბურთში.

რიკარდო გუირალდესი

დონ სეგუნდო სომბრა

შუბლშეკრული აუჩქარებლად, მაგრამ თავის სიმართლეში ურყევად დარწმუნებული უპასუხებდა:

— სათქმელად ყველაფერი ადვილია.

— არა, სენიორ, ეს მარტო სიტყვები როდია. თუ რამე გაბადიათ, რითაც ხარჯს დაფარავთ, აი, კაცი, მოელაპარაკეთ, ის ყველაფერს მოაჭახრაკებს.

— ხარჯის დასაფარად არაფერი მაბადია.

—ეჰ, რა ხალხია, მაინც! ფული თავისით უცვივა ჯიბეში, ისინი კი თავს არიდებენ.

— აბა, რა სალაპარაკოა? აგერ დგას კარდენასის ხალებიანი ლურჯა.

— მერე ეგ რაში ვარგა? ვიცნობ მაგას. ჩემს თვალწინ სამჯერ ჩამოიტოვეს უკან. თუ გაინტერესებთ, მე თვითონ მქონდა საათი დანიშნული.

— ჰმ! წარმოთქვა გლეხმა გაურკვევლად.

— დიახ, სენიორ! მე ორი საათი მქონდა: ერთი ჩვეულებრივი, მეორე— სპეციალური, რომლითაც ცხენი უფრო სწრაფად გარბის და ორივეთი ერთნაირად გამოვიდა: ცხენი კი არა, ჭაკია.

„სხვადასხვანაირი" საათების ხსენებამ, ალბათ, გლეხს კამათის ხასიათი წაუხდინა და ის მაშინვე უფრო ნაკლებ სწავლული თანამოსაუბრეების საძებნელად გაეშურა.

თქარუნი და შეძახილები გაისმა. სარბენ ბილიკთან დავბრუნდით. ორი გლეხური ცხენი სირბილს ამთავრებდა. გამარჯვებულმა, დაღლილმა, მაგრამ მომღიმარე გლეხმა ჩვენს ახლოს გაიარა. სტარტს კიდევ ორი ცხენი მოსწყდა. ჩალისფერი და ნიშა ქურანა. ქურანა ყოველი ნახტომის წინ ფორხილობდა და მაშინვე თავგანწირვით მიქროდა წინ. ჩემს გვერდით ვიღაც კარგცხენიანი კაცები საუბრობდნენ, მდიდრები იყვნენ. ერთი მათგანი, ეტყობა, უფრო საქმეში ჩახედული, თავის აზრს გამოთქვამდა:

— არ მესმის, როგორ დათანხმდა სილვანო აკუნიას ქარხნის თეთრფეხასთან შეჯიბრებას: მისი თაფლა მთლად დაუმუშავებელი ცხენია. გარწმუნებთ, შეიძლება ხალხმა დააფრთხოს და წრიდან გავარდეს.

იმ წამს ჩემს გვერდით მდგომი ჭაბუკი დამენიძლავა და ქურანაზე ოცის წინააღმდეგ ოცდაათი პესო ჩამოვიდა. სანაძლეო დაუფიქრებლად, თითქმის ბრმად მივიღე.

— მივიდნენ! — იქვე დაიყვირა ჭაბუკმა.

ხალხი მსაჯებს მისცვივდა. ერთნი ამბობდნენ: „სასიკვდილოდ დაშავდა", სხვანი ირწმუნებოდნენ, ქურანამ სარბენ ბილიკთან მდგარი შვიდი მაყურებელი გათელაო. მალე გამოირკვა, რომ სირბილითა და მათრახით გახურებული ქურანა მთლად გადაირია და ორღობის მავთულის ღობეს დაეტაკა. მხედარი სასწაულით გადარჩა, მხოლოდ დაიკაწრა და დაიჟეჟა.

მოულოდნელად ოცდაათი პესო მოვიგე.

ახალგაზრდა კაცი, თაფლას უარყოფით მხარეებს რომ აღწერდა, როშელზეც ვიღაც სილვანო უნდა შემჯდარიყო, მათრახის ტარით სტარტისაკენ მიუთითებდა:

— აგერ, გამოჰყავთ.

— მოდი, ამ გარბენს ვუყუროთ, — წინადადება მივეცი მეჯოგეებს.

ტურფა ჩალისფერი მოხდენილად გამოიყურებოდა. სანამ ვათვალიერებდი, ჩემს ამხანაგებს ვუამბე, რაც მის შესახებ ვიცოდი.

მოედანზე თეთრფეხა, ოდნავ კუთხოვანი, მუქწაბლა ცხენი გამოვიდა. მას თავი დინჯად, თამამად ეჭირა. თოკთან ახლოს მივედით, რომ გვენახა, როგორ აიღებდნენ ცხენები სტარტს.

უკვე პირველსავე სწორზე ჩალისფერი წინ გაიჭრა და სანაძლეოები გათანაბრდა.

მოულოდნელად ჩემს გვერდით აღმოჩნდა ღიპიანი კაცი, რომელმაც ასი პესო მომიგო.

— ეი, ჭაბუკო, თეთრფეხაზე რამდენსა დებთ?

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი.

— არ გინდათ თქვენი ასიანი დაიბრუნოთ?

— რატომაც არა!

ცხენებმა სტარტი უკვე ექვსჯერ აიღეს. ჩალისფერის მხედარი მეტოქეს დაუფარავად დასცინოდა და დაწინაურდით, ორჯერ შესთავაზა. მაგრამ, თეთრფეხას მხედარი უარობდა, თან ცდილობდა წინ გასულიყო. შეჯიბრება ჭიანურდებოდა, თუმცა, მხედრებს არ სურდათ ერთმანეთისთვის გამარჯვება დაეთმოთ.

აი, ცხენები მესამედ გაუსწორდნენ ერთმანეთს; ჩალისფერი მაშინვე წინ გავარდა მძლავრი ბიძგით. „წავიდეთ?" — შესძახა მისმა მხედარმა. ცხენებს შორის მანძილი სწრაფად მცირდებოდა, თეთრფეხა სისწრაფეს სულ უფრო უმატებდა. გაუფრთხილებლობითა თუ ზედმეტი სითამამით, ჩალისფერის მხედარმა ერთხელ კიდევ მიაძახა:

— წავიდეთ?

— წავიდეთ!

თვალის დახამხამებაში თეთრფეხა ნახევარი კორპუსით წინ აღმოჩნდა.

— ოჰო, ასე! — შესძახა ჩალისფერის მხედარმა, სადავეები დაიქნია და მთელი სხეულით წინ დაიხარა. მისი ცხენი უმალ მეტოქეს წამოეწია, ორი, სამი კორპუსით გაასწრო... თეთრფეხა წრიდან გავარდა.

— აი, ღორობა! — შევიგინე მე.

ღიპიანი იცინოდა:

— იღბალი არ გქონიათ.

ასი პესო კიდევ გადავუხადე და გაცხარებით ვუთხარი.

— დასკვნების გამოტანას ნუ ჩქარობთ. დოღი ჯერ არ დამთავრებულა.

— მუდამ მზად ვარ გემსახუროთ,— თავაზიანად დამეთანხმა, თან ფული ჯიბეში ჩამალა. — მხოლოდ თუ ორივენი ერთსა და იმავე ცხენს არ ავირჩევთ.

მაგრამ ამდენი ფული როგორ დავიბრუნო!

გადავწყვიტე სხვადასხვა ცხენზე ცოტ-ცოტას ჩავრეულიყავი და ერთდროულად რამდენიმე სანაძლეო დავდე სამოცდაათ პესოზე... მაგრამ აქაც წავაგე. პესოები თვალსა და ხელს შუა მიქრებოდა, ბუერის ყვავილებივით მიფრინავდა.

ამხანაგებთან ერთად კარვისკენ გავემართე. ავიღეთ ლუდი, საუზმედ კი ღვეზელი, რომელსაც პირდაპირ დანაზე წამოგებულსა ვჭამდით. დონ სეგუნდომ ორმოცდაათი პესო წააგო. ორივე მეჯოგემ კი ერთად ასორმოცდაათი პესო მოიგო. ერთ იმ ბედნიერთაგანს ასი პესო მივეცი, რომ ჩემი სახელით ეთამაშა. მან ამის გაკეთება არ დააყოვნა და... წააგო. ჯიბეში ხუთი პესოღა დამრჩა. „ეჰ, ბოლო ერთია", — გავიფიქრე და ღიპიანის საძებრად გავწიე, რომელმაც დანახვისთანავე კვლავ შემომთავაზა, წანაგები დაიბრუნეო.

— გადასახდელი აღარაფერი მაქვს. თუ გსურთ, საწინდარში ხუთი ცხენი წაიყვანეთ, ისინი აქვე, ახლოს არიან.

ღიპიანი დამთანხმდა და თავისი სულგრძელობა რომ ეჩვენებინა, უფლება მომცა შემდეგ გარბენში ცხენი პირველს ამერჩია. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო... სულელი ბატკანივით ვეგებოდი დანაზე.

მალე იმის მეტი აღარაფერი დამრჩენოდა, რომ გულხელდაკრეფილი ვმჯდარიყავი და სხვებისთვის მეცქირა.

საღამო ახლოვდებოდა, ადამიანები დაღლილნი ჩანდნენ. დიდი მოგებების მფლობელნი და ისინიც, რომელთაც ბედმა არ გაუღიმათ, გასამგზავრებლად ემზადებოდნენ. დონ სეგუნდო თავს მაბეზრებდა წამდაუწუმ მწარე შენიშვნებით. მე კი მათ უსიტყვოდ ვიტანდი, რაც ყველაფერზე უარესი იყო.

აღარ მახსოვს, კიდევ რამდენ ხანს გრძელდებოდა შეჯიბრება, რამდენი გარბენი იყო დარჩენილი. მაყურებლები ჯგუფ-ჯგუფად ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს, ხელს ართმევდნენ. ორღობის გასწვრივ ცხენოსნები ორ მწკრივად გაჭიმულიყვნენ.

თარგმნა **დ. გულისაშვილმა.**

დასასრული. იხ. „ლელო" №№ 10, 11, 12.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66148 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 03121